

უცხოური საწარმოს
ფილიალი სს რივერ საუთ
ლიმიტედი-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში „სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- „სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 29 მაისს.

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი



სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	1	22269	23,102
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(0)	(0)
საერთო მოგება		<u>22269</u>	<u>23,102</u>
სხვა შემოსავლები	2	14597625	1151458
ადმინისტრაციული ხარჯები		(1,072220)	(1,020,934)
სხვა ხარჯები		(31288)	(145,667)
მოგება დაბეგვრამდე		<u>13234794</u>	<u>7,959</u>
საგადასახადო ხარჯი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>13234794</u>	<u>7,959</u>
მთლიანი სრული შემოსავალი		<u>13234794</u>	7,959

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი



**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ფინანსური მდგომარეობა

		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	12464049	146123	231515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	8868	222044	130595
მარაგები	7	1800	19014	17844
		3543	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	2281598	1686317	828200
სულ აქტივები		14759858	2073498	1208154
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	11509	0
სავაჭრო ვალდებულებები		2090	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		596,582	596,582	596582
სულ ვალდებულებები	9	617485	608091	596582
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4	13330091	95297	87338
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		812282	1370110	524234
სულ საკუთარი კაპიტალი		1,4142373	1465407	611572
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14759858	2073498	1208154

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი



**ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა**

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022 4	31/12/2023 3
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-894599	98,609
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	13212525	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	-184,001
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	12317926	-85,392
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	146123	231,515
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12464049	146,123

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2022 ნაშთი	524,234	87,338	611,572
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	845,876	7,959	853,835
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2023 ნაშთი	1,370,110	95,297	1,465,407
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(557828)	13234794	12676966
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2024 ნაშთი	812282	13330091	14142373

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი



1. ზოგადი ინფორმაცია

„სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალი რეგისტრირებულია საქართველოში 2002 წლის 17 ივლისს. სამართლებრივი ფორმა: უცხოური საწარმოს ფილიალი (წარმომადგენლობა) საიდ. კოდი 206118805. იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ქ. წამებულის გამზ., #3

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე საწარმოო ოფისი განთავსებულია თბილისი, ისნის რაიონი, ქ. წამებულის გამზ., #3

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფილიალის საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	5%
➤ მანქანა-დანადგარები	10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო	10-20%
➤ სხვა ძირითადი	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

(ი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(კ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ლ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

1. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	შემოსავალი ფართის გაქირავებიდან	23102	22269
	ჯამი	23,102	22269

2. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	საპროცენტო შემოსავლები	0	255
2	საკუროსო სხვაობის შემოსავალი	12,858	52029
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (დაფინანსება სათაოდან)	1,138,600	1329427
4	შემოსავალი მიწის რეალიზაციიდან	0	13212525
5	სხვა შემოსავალი		3389
	ჯამი	1,151,458	1,4597625

3,შემენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	ელენერგიის ხარჯი	2,087	9395
2	საგადასახადო ხარჯი	68,669	85909
3	შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,020,933	1091028
4	საკუროს სხვაობის ხარჯი	40,657	168052
5	სხვა ხარჯები	20,707	49524
	ჯამი:	1,153,053	1,403908

4 პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	87,337	95296
2	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		13234795
	მოგების გადასახადი		
3	განაწილებული დივიდენდი	7,959	
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	95,296	13330091

5 ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	146,123	8524392
2	ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა		3939657
3	ფული სალაროში		
	ჯამი:	146,123	12464049

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	222,044	8868
	ჯამი:	222,044	8868

7 სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
1	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	17844	19014
2	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	19014	1800
		36,858	20814

8 ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	დასახელება	მიწის ნაკვეთები	მანქანა დანადგარი	ოფისის აღწერილობა	შენობა ნაგებობები	ავეჯი სხვა ინვენტარი	სამშენებლო მოწყობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
	საწყისი (ისტორიული) ღირებულება									
	ნაშთი: 31.12.2022	<u>423552</u>	<u>2442</u>	<u>26869</u>	<u>372379</u>	<u>2958</u>	<u>0</u>	<u>0</u>	<u>0</u>	<u>828200</u>
	აქტივების შეძენა	-	<u>7457</u>	<u>1264</u>	<u>833653</u>	<u>643</u>	<u>28155</u>	-	-	<u>871172</u>
	აქტივების გასვლა	-	-	<u>-13055</u>	-	-	-	-	-	<u>-13055</u>
	ნაშთი: 31.12.2023	<u>423552</u>	<u>9899</u>	<u>15078</u>	<u>1206032</u>	<u>3601</u>	<u>28155</u>	<u>0</u>	<u>0</u>	<u>1686317</u>
	აქტივების შეძენა	-	-	<u>6420</u>	<u>487287</u>	<u>53702</u>	-	<u>12000</u>	<u>45086</u>	<u>604495</u>
	აქტივების გასვლა	-	-	-	-	-	-	-	<u>-2414</u>	<u>0</u>
	დარიცხული ცვეთა	-	<u>-906</u>	<u>-2058</u>	<u>-133</u>	<u>-430</u>	<u>-2053</u>	-	<u>-1220</u>	<u>-6800</u>
	ნაშთი: 31.12.2024	<u>423552</u>	<u>8993</u>	<u>19440</u>	<u>1693186</u>	<u>56873</u>	<u>26102</u>	<u>12000</u>	<u>41452</u>	<u>2281598</u>
	საბალანსო ღირებულება									
	სნდ-31.12.2022	423552	2442	26869	372379	2958	0	0	0	828,200
	სნდ-31.12.2023	423552	9899	15078	1206032	3601	28155	0	0	1686317
	სნდ-31.12.2024	<u>423552</u>	<u>8993</u>	<u>19440</u>	<u>1693186</u>	<u>56873</u>	<u>26102</u>	<u>12000</u>	<u>41452</u>	<u>2281598</u>

9	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(ლარი)	
	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2024
	სავაჭრო ვალდებულებები	0	20903
	ჯამი:	0	20903

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 29 სექტემბერს.

სს რივერსაუთ ლიმიტედის ფილიალის“-ს დირექტორი

ზურაბ სულიაშვილი

29.05.2025 წ.

